საქართველოს ფსიქოანალიტიკური ფსიქოთერაპიის საზოგადოება

# „ტრავმა, ეთნიკურობა და ომი ფსიქოანალიტიკურ კაბინეტში“

თბილისი, 6 – 8 ოქტომბერი 2023

თსუ, მესამე კორპუსი, აუდიტორია 201, 203, 023

როგორ ხედავს და როგორ აღიქვამს ბავშვი ომს? რა კვალს ტოვებს ბავშვობის ტრავმა მის ფსიქიკურ განვითარებასა და შემდგომ ცხოვრებაზე? შესაძლებელია ომის შედეგებისა და კვალის წაშლა მისი გონებიდან ფსიქოთერაპიის შედეგად? ექნება მას ადამიანების ნდობის, სიხარულის უნარი, დატოვებს იგი ომს წარსულში თუ ომი მისი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი იქნება სიზმრების, მოგონებების, სიმპტომების სახით? ეს და სხვა ბევრი კითხვა და პასუხი ამა წლის 6-8 ოქტომბრის სემინარზე.

სემინარი განკუთვნილია: ბავშვებთან და ზრდასრულებთან მომუშავე ფსიქოთერაპევტებისთვის, კლინიკური ფსიქოლოგებისთვის, ფსიქიატრებისთვის, ფსიქოლოგიისა და მედიცინის მიმართულების სტუდენტებისთვის.

- ლექციები და დისკუსიები
- ჯგუფური სუპერვიზიები (ბავშვთა და მოზრდილთა კლინიკური ქეისები)
- ჩვილზე დაკვირვების ვორქშოპი
- მრგვალი მაგიდა „ბავშვთა ანალიზი ომის პირობებში“
- საქართველოს ფსიქოანალიტიკური ფსიქოთერაპიული საზოგადოების ტრენინგ-პროგრამის პრეზენტაცია

## <u>ლექტორები და სუპერვიზორები:</u>

***იაკობ უბელსი (ნიდერლანდები, ამსტერდამი):***

ბავშვთა და მოზარდთა ფსიქიატრი; ჰოლანდიის ფსიქოანალიტიკური საზოგადოების ტრენინგ-ანალიტიკოსი და სუპერვიზორი; აღმოსავლური ევროპის ფსიქოანალიტიკური ინსტიტუტის წევრი; თეირანის ჰამ ავა ინსტიტუტის და ჩინურ-ამერიკული ალიანსის (CAPA) წევრი; არაერთი ფსიქოანალიტიკური ნაშრომის ავტორი.

***ლეონტინ ბრამეიერი (ნიდერლანდები, როტერდამი):***

საერთაშორისო ფსიქოანალიტიკური ასოციაციის (IPA) ტრენინგ-ანალიტიკოს და სუპერვიზორი; ჰოლანდიის ფსიქოანალიტიკური საზოგადოების წევრი. ბოლო წლების განმავლობაში ის დიდ დროს უთმობს ახალგაზრდა ოჯახებთან მუშაობას და ჩვილზე დაკვირვებას.

*ვოუტერ გომპერტსი (ნიდერლანდები, ამსტერდამი):*
კლინიკური ფსიქოლოგი და ფსიქოანალიტიკოსი; საერთაშორისო ფსიქოანალიტიკური ასოციაციის (IPA) ტრენინგ-ანალიტიკოსი და ჰოლანდიის ფსიქოანალიტიკური ფსიქოთერაპიის საზოგადოების სუპერვიზორი.

## დისკუსანტები:

***ანა კრავცოვა (უკრაინა, ხარკივ)*** - ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოანალიტიკოსი (IPA, UPS), ტრენინგ-ფსიქოანალიტიკოსი და სუპერვიზორი, „ადრეული ინტერვენციის ინსტიტუტის“ განვითარების დირექტორი (ხარკოვი)

***ხათუნა ივანიშვილი (საქართველო, თბილისი)*** - საერთაშორისო ფსიქოანალიტიკური ასოციაციის (IPA) პირდაპირი წევრი, საქართველოს ფსიქოანალიტიკური ფსიქოთერაპიის საზოგადოების ტრენინგ ფსიქოანალიტიკური ფსიქოთერაპევტი.

***ნინო სესიაშვილი (საქართველო, თბილისი)*** - საერთაშორისი ფსიქოანალიტიკური ასოციაციის (IPA) პირდაპირი წევრი, საქართველოს ფსიქოანალიტიკური ფსიქოთერაპიის საზოგადოების კოორდინატორი.

***მრგვალი მაგიდა:***

მარია ბუდია (უკრაინა - ნიდერლანდები)
ქრისტინა ხაჩატუროვა (უკრაინა - ნიდერლანდები)
მარინა კუზნეცოვა (უკრაინა - ნიდერლანდები)
მოდერატორი - ვოუტერ გომპერტსი

***სემინარზე წარმოდგენილი იქნება შემდეგი მოხსენებები:***

1. ***იაკობ უბელსი*** - „არარსებობის“ (სევდა, მწუხარება, გლოვა) იდენტობის აღწერა ტრავმირებული ბავშვის ფსიქოანალიტიკური მკურნალობისას“
   *მოხსენების განხილვა - ანა კრავცოვა (უკრაინა, ვიდეოჩართვა)*

2. ***ვოუტერ გომპერტსი*** - „როცა წარმომავლობა წინ წამოიწევს / ეთნიკურობის, გადატანა -უკუგადატანისა და ამოქმედების შესახებ ფსიქოანალიტიკურ სიტუაციაში“
   *მოხსენების განხილვა - ხათუნა ივანიშვილი (საქართველო)*

3. ***ლეონტინ ბრამეიერი*** - ბავშვთა ანალიზი ომის დროს. ტრავმა და შინაგანი სამყარო მოხსენების განხილვა - ნინო სესიაშვილი (საქართველო)

დაინტერესების შემთხვევაში დაუკავშირდით სემინარის ორგანიზატორს, დინა ანთელავას ან ეწვიეთ საიტს :

www.gppo.ge
dina.antelava@gmail.com

+995 5 99 901965